ვალერიან დოლიძე •
ავთანდილ ტუკვაძე •

საქართველოს დემოკრატიული ევოლუცია და მისი ციკლები

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია პოლიტიკური რეჟიმის ფორმირება საქართველოში, რაც წარმოდგენილია დემოკრატიზაციისა და ავტორიტარიზაციის ციკლების სახით. ავტორთა აზრით, მის მიმართულებას განსაზღვრავს ქვეყნის დემოკრატიული პოტენციალის გაძლიერების პროცესი, რომელიც წარმოშობს და წარმართავს ქვეყნის დემოკრატიულ ევოლუციას, დემოკრატიული რესურსების თანდათანობითი გაძლიერების საფუძველზე. შევარდნაძისა და სააკაშვილის ელექტორალურ-ავტორიტარული რეჟიმები ზრდიდნენ ქვეყნის დემოკრატიულ პოტენციალს და წარმოადგენდნენ პოლიტიკური განვითარების ევოლუციურ ციკლებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქვეყნის დემოკრატიულ ევოლუციას. ამჟამად ქვეყანა იმყოფება დემოკრატიზაციის მესამე ციკლში.

საკვანძო სიტყვები: ავტორიტარიზმი, დემოკრატია, დემოკრატიზაცია, რეჟიმი, პოლიტიკური სისტემა.

• ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

• ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

შესავალი

დემოკრატიული ოპტიმიზმი, რაც გამოიწვია დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ და რეალური სოციალიზმის დაშლამ, დღეს პესიმიზმით იცვლება. დემოკრატიისადმი დამუქრებული საფრთხე იმდენად აშკარა გახდა, რომ მეცნიერებმა დაიწყეს მსჯელობა დემოკრატიული რეგრესის შესახებ [1,2], ხოლო მათი ნაწილი კი ავტორიტარიზაციის მესამე ტალღის შესახებაც კი საუბრობს [2; 3]. მაგრამ წინა ორი ტალღისაგან განსხვავებით, დემოკრატიის უკანდახევა მიმდინარეობს თანდათანობით და ფარულად, კანონიერების საფარის ქვეშ, რაც აძნელებს დემოკრატიის ეროზიის პროცესის დანახვას. ამიტომ მის დასაფიქსირებელად საჭირო გახდა ახალი მეთოდის შექმნა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ დაფიქსირდეს არა მხოლოდ ერთი რეჟიმის მეორეთი მყისიერი ჩანაცვლება, რასაც ადგილი ჰქონდა პირველი ორი ტალღის დროს, არამედ აგრეთვე დემოკრატიის თვისებების თანდათანობითი გაქრობის პროცესი, რაც დემოკრატიის ფორმალური წესების დაცვის საფარქვეშ მიმდინარეობს. მის დასაფიქსირებლად და გასაზომად ლუჰმანი და ლინდბერგი გვთავაზობენ ავტორიტარიზაციის ცნებას, რომელიც ესმით, როგორც დემოკრატიის თვისებების არსებითი და მდგრადი გაუარესების პროცესი და რომელიც არსებობს დასაწყისისა და დასასრულის ქრონოლოგიის მქონე კონკრეტული პერიოდების სახით. ამ პერიოდებს ავტორები ავტოკრატიზაციის ეპიზოდებს უწოდებენ [3].

ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, რომ დავაფიქსიროთ ავტოკრატიზაციის პროცესის დასაწყისი და თვალი მივადევნოთ მის განვითარებას ემპირიულ მონაცემებზე დაკვირვების საშუალებით. „ავტოკრატიზაციისაგან“ განსხვავევებით „დაშლა“ („breakdown“), როგოც სამართლიანად მიაჩნიათ ზემოთაღნიშნულ ავტორებს, უფრო მოსახერხებელია გამოვიყენოთ ავტოკრატიზაციის ეპიზოდების ისეთი ქვესიმრავლის დასაფიქსირებლად, სადაც აშკარაა დემოკრატიის სრულად დაცემისა და მისი ავტოკრატიით ჩანაც-

ვლების გამყოფი ხაზი. მაგრამ ასეთი მიდგომა გამოუსადეგარია ისეთი შემთხვევებისათვის, როცა დემოკრატია ავტორიტარიზმით უცბად კი არ იცვლება, არამედ თანდათანობით, დემოკრატიული თვისებების თანდათანობით დაკარგვის საფუძველზე, რაც შეიძ-ლება მოხდეს, როგორც დემოკრატიების, ასევე ელექტორალური ავტორიტარიზმის პირობებში. ასევე პრობლემატურია „მიბრუნე-ბის“ (becksliding-ის) გამოყენებაც.

უკვე არსებულმა ავტორიტარულმა რეჟიმმა შეუძლებელია, რომ განიცადოს „დემოკრატიისკენ მიბრუნება“ (democratic backsliding-ი) და წავა კიდევ უფრო ღრმა დიქტატურაში, მაშინ რო-ცა ელექტორალური ავტორიტარიზმი შეიძლება გადაიზარდოს დახურულ ავტორიტარიზმში დემოკრატიული ნიშნების დაკარგ-ვის, ავტოკრატიზაციის გაძლიერების და არა „დემოკრატიისკენ მიბრუნების“ შედეგად. გარდა ამისა, როგორც სამართლინად აღ-ნიშნავენ ავტორები, „ბექსლაიდინგი“ მიგვითითებს უკან, ადრე არ-სებულ მდგომარეობაში, დაცურებაზე, მაშინ როცა შესაძლებელია, რეჟიმი მოძრაობდეს განსხვავებული ტიპის ავტორიტარიზმისაკენ. ის აგრეთვე მიგვანიშნებს არაცნობიერად მიმდინარე პროცესზე, რომელიც არ გამომდინარეობს აქტორების შეგნებული მოქმედები-დან, რითაც იძლევა მიმდინარე პროცესის არასწორ გაგებას. „ავ-ტოკრატიზაცია“ საშუალებას იძლევა, რომ დავაკვირდეთ არა მხოლოდ დემოკრატიის მიზანმიმართულ ევოლუციას ავტორიტა-რიზმის მიმართულებით, არამედ თავად ავტორიტარული რეჟი-მების კონსოლიდაციასაც დემოკრატიული ნიშნების თანდათანო-ბითი დაკარგვის პროცესში [3].

ავტოკრატიზაციის მესამე ტალღა არსებითად განსხვავდება მისი წინამორბედი ორი ტალღისაგან ავტოკრატიზაციის სიღრმი-თაც. იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც ამ ტალღაში მოექცნენ, გაცი-ლებით უფრო მეტად შეინარჩუნეს დემოკრატიულობა, ვიდრე მათმა წინამორბედებმა წინა ავტოკრატიული ტალღების დროს. ეს იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ ავტოკრატიზაციის მესამე

ტალღა შეიძლება უფრო მსუბუქი აღმოჩნდეს, პირველ ორ ტალღასთან შედარებით [3]. ეს, ჩვენი აზრით, შეიძლება აიხსნას საზოგადოების გაზრდილი დემოკრატიული პოტენციალით, რომელიც წინააღმდეგობას უწევს ავტოკრატიზაციას და არ აძლევს მას გაღრმავების საშუალებას. საზოგადოების დემოკრატიული პოტენციალი მოიცავს არა მხოლოდ დემოკრატიულ ინსტიტუტებს, არამედ აგრეთვე შესაბამის ქცევებს და განწყობებს, ღირებულებებს და ღირებულებით ორიენტაციებს, საზოგადოებაში არსებულ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელთა კუმულაციურ ეფექტს წარმოადგენს პასუხისმგებლობაზე დამოკიდებული მმართველობის ფუნქციონირება.

ავტოკრატიზაციაზე დაკვირვების ზემოთგანხილული მეთოდი ინსტიტუციურ ხასიათს ატარებს. ის, ინსტიტუტებზე დაკვირვების საფუძველზე, საშუალებას იძლევა დავაფიქსიროთ და დავაკვირდეთ რეჟიმების მიზანმიმართულ ავტორიტარიზაციას, მაგრამ არაფერს გვეუბნება მისი მიზეზების შესახებ, არ პასუხობს კითხვას რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კი დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტების გათვალისწინებას საჭიროებს. ინსტიტუციური მიდგომის შეზღუდული შესაძლებლობები კარგად გამოვლინდა პოლონეთისა და, განსაკუთრებით, უნგრეთის შემთხვევაში, რომლებიც, ინსტიტუტებზე დაკვირვების საფუძველზე, დემოკრატიის კონსოლიდაციის ყველაზე წარმატებულ შემთხვევებად იყო მიჩნეული ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის, მაგრამ მოულოდნელად მკვეთრი უკუსვლა განიცადეს.

დემოკრატიზაციის კვლევისადმი ინსტიტუციური და კონსოლიდაციური მიდგომების ნაკლოვანებებმა, დღის წესრიგში დააყენა დემოკრატიული ინსტიტუტების კონტექსტუალური ასპექტების კვლევის საჭიროება, რამაც მოითხოვა შედარებითი პოლიტიკის საზღვრებს გარეთ გასვლა და სხვა დისციპლინების მიღწევების გამოყენება. ამიტომ მეცნიერთა ერთი ნაწილი ცდილობს, გამოი-

ყენოს ისეთი მომიჯნავე მეცნიერებების მიღწევები, როგორიცაა პოლიტიკური ეკონომია, პოლიტიკური თეორია და ეთნოგრაფია იმისათვის, რომ გაიგოს თუ როგორ ახდენენს გავლენას ინსტიტუტებზე სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პრაქტიკები, და არა პირუკუ - ინსტიტუტები მათზე. ეს მეტყველებს ახალ დისციპლინათაშორისი სინთეზის საჭიროებაზე კუბიკის „კონტექსტუალური ჰოლიზმის“ საშუალებით [4].

დემოკრატიული ინსტიტუტების საზოგადოებრივი კონტექსტის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის დაშლის შედეგად წარმოშობილი ახალი რეჟიმების შესწავლისათვის, რადგანაც კომუნიზმის დაშლამ ერთდროლად მოიცვა საზოგადოების ყველა სფერო - სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური, რამაც წარმოშვა პარალელურად მიმდინარე თვისებრივად განსხვავებული პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდნენ ერთდროულად და გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე. ტრანზისტოლოგია, რომელიც განვითარდა სოციალისტური ბანაკის დაშლამდე დიდი ხნით ადრე, დემოკრატიზაციას სწავლობდა კაპიტალისტური საზოგადოების კონტექსტში, სადაც დემოკრატიზაციას თან არ ახლდა ისეთი ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, როგორსაც ადგილი ჰქონდა „რეალური სოციალიზმის“ დაშლის შემთხვევაში. ამიტომ შესაძლებელი იყო საზოგადოებრივი კონტექსტისაგან აბსტრაგირება. სწორედ ამით უნდა აიხსნას ინსტიტუციური მიდგომის დომინირება ტრანზისტოლოგიაში, რომელიც გადაიტანეს ყოფილ სოციალისტურ ბანაკში მიმდინარე ცვლილებების კვლევაში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ კომუნიზმის რღვევა დემოკრატიზაციად გამოცხადდა და წარმოშვა დემოკრატიისა და ლიბერალიზმის ტრიუმფის გაზრდილი მოლოდინები, რომლის ყველაზე ნათელი მაგალითი იყო ფუკუიამას „ისტორიის დასარული“. კომუნიზმის დაშლისა და დემოკრატიზაციის გაიგივებას თავისი მიზეზები გააჩნდა. დემოკრატიზაციის გარეშე შეუძლებელი იყო რეალური

სოციალიზმის დაშლა, რის გამოც დემოკრატიზაცია ყველა ყოფილმა სოციალისტურმა ქვეყანამ გაიარა. ის ტრანზისტოლოგიაში დემოკრატიული ტრანზიტის ერთ-ერთ ფაზას შეესაბამება, რომელიც შეიძლება გადავიდეს დემოკრატიაში ან არა. დემოკრატიზაციის ფუნქცია აქ დემოკრატიაში გადასასვლელი პირობების მომზადებაა. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების შემთხვევაში კი დემოკრატიზაციის ფუნქცია იყო არა პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა, არამედ რეალური სოციალიზმის დაშლა და ახალი საზოგადოების მშენებლობისათვის პოლიტიკური შეზღუდვების მოხსნა.

სწორედ ამით უნდა აიხსნას რეალური სოციალიზმის დაშლის დემოკარტიზაციასთან გაიგივება, რაც სწორ წარმოდგენას ვერ გვიქმნის პოსტსოციალისტურ სივრცეში განვითარებული მოვლენების შესახებ. რეალური სოციალიზმის რღვევა გულისხმობს ტოტალური ცვლილებების განხორციელებას მთელ საზოგადოებაში, რაც მნიშვნელოვნად სცდება „დემოკრატიზაციის“ ცნების საზღვრებს. მაგრამ ისინი წარმოშობენ დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს კონტექსტს, რომელიც გავლენას ახდენს მათ ფუნქციონირებაზე. ამიტომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარების ღრმად შესწავლა შეუძლებელია პოლიტიკური პროცესების ფართო საზოგადოებრივი კონტექსტისაგან იზოლირებულად, მხოლოდ ინტიტუციონალური მიდგომის ფარგლებში. ეს ნათლად გამოჩნდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შემთხვევაში, სადაც 15-დან მხოლოდ სამმა ბალტიის რესპუბლიკამ მიაღწია კონსოლიდირებული დემოკრატიის სტადიას.

ასეთი განსხვავებული შედეგების მიზეზი საზოგადოებების დემოკრატიული პოტენციალის განვითარების განსხვავებული დონით შეიძლება აიხსნას, რომელიც პოლიტიკური ინსტიტუტების გარდა, მოიცავს აგრეთვე მათი ფუნქციონირების საზოგადოებრივ კონტექსტსაც. სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, მოქცეულია დემოკრატიულად ყველაზე

უფრო დაწინაურებულ სამ ბალტიისპირეთის რესპუბლიკასა და დანარჩენ ცხრა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას შორის. 2014 წელს მათ ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. უკანასკნელ პერიოდამდე, საქართველო ითვლებოდა სამაგალითოდ დასავლეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მას უფრო უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა „ფრიდომ ჰაუსის“ თავისუფლების ინდექსის შკალაზე, ვიდრე მოლდოვასა და უკრაინას. მაგრამ მოულოდნელად ეს მაჩვენებლები გაუარესდა, ხოლო 2022 წელს საქართველოს უარი ეთქვა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე, მაშინ როცა უკრაინა და მოლდოვა გახდნენ ევროკავშირის კანდიდატები. საქართველოს აშკარად შეეხო ავტოკრატიზაციის მესამე ტალღა, მაგრამ ნათელი არ არის შეაჩერა თუ არა მან საქართველოს მოძრაობა დემოკრატიისაკენ. მოცემულ სტატიაში შევეცდებით, რომ პასუხი გავცეთ ამ კითხვას.

ავტორიტარული და დემოკრატიული ვექტორების დაპირისპირებამ განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური განვითარების თავისებურება, რომელმაც ქანქარისებრი ხასიათი მიიღო. ის პერიოდულად გადადიოდა დემოკრატიზაციის ფაზიდან ავტორიტარიზმში და შემდგომ ბრუნდებოდა უკან, დემოკრატიზაციის ფაზაში. დამოუკიდებლად არსებობის 30 წლის განმავლობაში საქართველომ გაიარა დემოკრატიზაციის სამი (1990-1991; 2002-2004; 2012 წლიდან დღემდე) და ავტორიტარიზმის სამი ციკლი (1991-1992; 1992-2003; 2004-2012). ამიტომ საქართველოს პოლიტიკური რეჟიმის განვითარება არის არა ხაზობრივი, არამედ დისკრეტული, ევოლუციური, სპირალური და ქანქარისებრი. ამასთან დაკავშირებით დგება კითხვა, რა კავშირშია პოლიტიკური რეჟიმის ასეთი განვითარება დემოკრატიზაციასთან და წყვეტდა თუ არა ქვეყანა დემოკრატიულ ევოლუციას ავტორიტარიზმის პირობებში? ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ კითხვას ციკლური მიდგომის გამოყენებით.

საქართველოში პოლიტიკური ქანქარის გადახრა ავტორიტარიზმში არ ნიშნავდა დემოკრატიული ევოლუციის დასასრულს,

რადგანაც ის იწვევდა დემოკრატიული რესურსების გაძლიერებასა და ქვეყნის დემოკრატიული პოტენციალის ზრდას. ამიტომ საქართველოს პოლიტიკური განვითარების ავტორიტარულ ციკლებს შეიძლება ვუწოდოთ პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული ევოლუციის ციკლები. ისინი ავითარებდნენ დემოკრატიის რესურსებს - ყველა იმ საშუალებების ერთობლიობას, რომელიც სჭირდება საზოგადოებას მთავრობის კონტროლისა და პასუხისმგებლობაზე დამყარებული მმართველობის განვითარებისათვის. ასეთი რესურსებია - პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დემოკრატიული კანონმდებლობა და ა. შ.

დემოკრატია ერთადერთი პოლიტიკური რეჟიმია, სადაც საჯაროდ, პერმანენტულად მიმდინარეობს და ლეგიტიმურია ბრძოლა ხელისუფლებისათვის საზოგადოების ფართო მონაწილეობით. დემოკრატიის რესურსები ხელს უწყობს ასეთი ბრძოლის წარმოებას. მათი განვითარება არ შეწყვეტილა ავტორიტარული ციკლების დროსაც, რომლებიც (გამსახურდიას გარდა) აძლიერებდნენ ქვეყნის დემოკრატიულ პოტენციალს, რომელსაც ქმნიან მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური აქტიურობის თავისუფლება, ინფორმაციის ალტერნატიული წყაროების არსებობა, პოლიტიკური სისტემების ღიაობა, საზოგადოებრივი აზრის ავტონომიური ფორმირება, დემოკრატიული კანონმდებლობა, პირდაპირი მოქმედებების თავისუფლება, პროტესტის ღია, კოლექტიური და ორგანიზებულად გამოხატვის თავისუფლება, პოლიტიკური ელიტის პროდასავლური ორიენტაცია, ევროინტეგრაცია და ა. შ. მაგრამ ადმინისტრაციული ხელისუფლება (სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების შიგნით ფუნქციონირებადი ხელისუფლება) და ბიუროკრატიის პოლიტიზაცია წარმოშობს განვითარების ავტორიტარულ ვექტორს, რაც პოლიტიკურ ელიტას საშუალებას აძლევს, რომ გარკვეული ზომით გააკონტროლოს ელექტორატის ქცევები. ამის მიუხედავად, საქართველოს პოლიტიკური სისტემის განვითარების ძირითად ტრენდი, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ცვლი-

ლებების სახესა და არსებას დემოკრატიულია. ეს არის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების განვითარების საერთო და მთავარი მიმართულება, რომელიც არ იცვლება პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებების მიუხედავად.

დემოკრატიული ტრენდი ეს არის საზოგადოების გამოსვლის პროცესი სახელმწიფოს სრული კონტროლიდან და ფუნქციონირების ავტონომიურ რეჟიმში გადასვლა. ის დაკავშირებულია არა მხოლოდ თავისუფალი არჩევნების სტატისტიკასთან, არამედ გულისხმობს აგრეთვე ცვლილებების განხორციელების პროცესს საზოგადოების ყველა სფეროში. ამიტომ ის განაგრძობს არსებობასა და განვითარებას ავტორიტარიზმის პირობებშიც. სწორედ ასეთი ტრენდის საფუძველზე ხდებოდა ავტორიტარული რეჟიმების წარმოშობა და ნგრევა საქართველოში.

როცა ხალხის მიერ არჩეული მთავრობა იწყებდა მოქმედებას განვითარების დემოკრატიული ტრენდის წინააღმდეგ, ცდილობდა საზოგადოება დაექვემდებარებინა საკუთარი კონტროლისათვის, ის აწყდებოდა ამ ტრენდის წინააღმდეგობას, რის შედეგადაც წყვეტდა თავის არსებობას. ეს რეჟიმები არა მხოლოდ აფერხებდნენ დემოკრატიის მიმართულებით მოძრაობას, არამედ ასევე ამრავლებდნენ ქვეყნის დემოკრატიულ რესურსებსაც (საიდანაც გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ განმსახურდიას რეჟიმი), რითაც ამზადებდნენ დემოკრატიული ევოლუციის შემდგომ პროგრესს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ავტორიტარიზმის რესურსები ამოწურულია. მისი წყაროა არა იმდენად სახელმწიფო, რამდენადაც შრომითი ურთიერთობების არდემოკრატიული ხასიათი, დაქირავებულთა უფლებების დაუცველობა.

ვესტერნიზაცია და დემოკრატიზაცია

1922 წლის ივნისში უკრაინა და მოლდოვა გახდნენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატები, ხოლო საქართველოს კი, რომელიც ევროინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ლიდერი იყო, მხოლოდ ევროპული პერსპექტივა მიენიჭა, მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების ტექნიკური კრიტერიუმებით, საქართველო წინ უსწრებდა ორივე ქვეყანას [5]. ეს აქტუალურად აქცევს ამ სამი ქვეყნის ვესტერნიზაციის დონის შედარებას, რადგანაც ჩვენი აზრით, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ტრენდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სწორედ ვესტერნიზაციის დონე წარმოადგენს.

ამერიკული ორგანიზაციის Strategist East მონაცემების მიხედვით, 2018 წელს ვესტერნიზაციის დონის მიხედვით, საქართველო მეოთხე ადგილზე იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, 62 ქულით 100-დან, ბალტიისპირეთის სამი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის შემდეგ. ის 6 ქულით უსწრებდა მოლდოვას (56), ხოლო 8 ქულით უკრაინას (54). 2020 წლის ვესტერნიზაციის მონაცემებით, პირველი სამეული იგივე დარჩა. საქართველოს ევროპეიზაციის ინდექსი ორ წელიწადში (2018 -2020) გაიზარდა 2 ერთეულით: 62-დან 64-მდე, უკრაინისა 4.5 ით (54 - 58, 5), მოლდოვისა 3-ით (56-59). შემდეგი ორი წლის მანძილზე (2020-2021), საქართველოს ვესტერნიზაციის ინდექსი არ შეცვლილა და დარჩა - 64, მაშინ როცა მოლდოვისა და უკრაინის მაჩვენებლები იზრდებოდა. მოლდოვამ (65,5) აჯობა საქართველოს 1.5 ქულით და ჩაანაცვლა ის მეოთხე ადგილზე, რომელმაც უკრაინასთან (64) ერთად დაიკავა მეხუთე ადგილი 64 ქულით [6,14].

შეიძლება დავასკვნათ, რომ 2018-2022 წლებში საქართველოს ვესტერნიზაციის ინდექსია გაიზარდა. მაგრამ იმის გამო, რომ მისი ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა მოლდოვისა და უკრაინისას, საქართველომ დაკარგა ამ სამ რესპუბლიკას შორის ლიდერის პოზიცია. ამ

ოთხ წელიწადში უკრაინის ინდექსი გაიზარდა 10 ქულით, მოლდოვის 9.5 -ით, საქართველოსი კი მხოლოდ 2 ქულით.

საინტერესოა, რომ საქართველოს ვესტერნიზაციის 2018 წლის ინდექსი (62) უახლოვდება 2018 წლის საქართველოს თავისუფლების ინდექსს (63) „ფრიდომ ჰაუსის“ შკალაზე. საქართვეელოს თავისუფლების ინდექსი ოდნავ, - ერთი ერთეულით უსწრებდა წინ მის ვესტერნიზაციას. მაგრამ უკვე 2019 წელს ის შემცირდა 2 ერთეულით და გახდა 61 (7). 2020 წელს „ფრიდომ ჰაუსის“ თავისუფლების ინდექსი საქართველოსათვის ეცემა კიდევ ერთი ერთეულით (ე. ი. კლების სიჩქარე ერთი ერთეულით შენელდა) და ხდება 60. ამის შემდეგ თავისუფლების ინდექსის კლება ისევ ჩქარდება. 2021 წელს, ისევე როგორც 2019 წელს, ის კვლავ 2 ერთეულით მცირდება და ხდება 58. შემდეგ ამ მაჩვენებლის ვარდნა ჩერდება ამ დონეზე: 2021 წლის მაჩვენებელი (58) შენარჩუნდა 2022 წელსაც [8].

ვესტერნიზაციის მაჩვენებელი თავისუფლების ინდექსის საწინააღმდეგო მიმართულებით იცვლებოდა. თუ თავისუფლების ინდექსი შემცირდა, ვესტერნიზაციის ინდექსი გაიზარდა. ვესტერნიზაციის ინდექსი ორი წლის მანძილზე (2018-2022) გაიზარდა 2 ერთეულით 62-დან 64-მდე. ხოლო დემოკრატიზაციის ინდექსი კი იმავე პერიოდში შემცირდა 5 ერთეულით და ამის შემდეგ შეჩერდა მისი ვარდნა. ვესტერნიზაციის ინდექსი იმავე პერიოდში, 4 წლის განმავლობაში (2018- 2020) გაიზარდა 2 ერთეულით და შენარჩუნდა შემდეგი ორი წლის (2021-2022) განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მოკლე პერიოდის (4 წელი) მონაცემებზე დაყრდნობით, საბოლოო დასკვნების გაკეთება ძნელია, ჰიპოთეტურად მაინც შესაძებელა ვიმსჯელოთ ამ ორი ცვლადის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და ვივარაუდოთ, რომ თავისუფლების ინდექსის დაცემა შეაჩერა ევროპეიზაციის გაძლიერებამ. თუ თავისუფლების ინდექსის გაუარესებაში დავინახავთ ავტორიტარული ზეწოლის გაძლიერებას, ხოლო ევროპეიზაციის ზრდაში კი დემოკრატიული ვექტორის გაძლიერებას, მაშინ

ჩვენი თეორია ასე ჩამოყალიბდება: ევროპეიზაციის გაძლიერება იწ-ვევს ავტორიტარულ ზეწოლის დასუსტებას. მაგრამ ამ თეორიის ვერიფიკაცია საჭიროებს პოლიტიკური პრაქტიკის განვითარებას დროის უფრო ფართო მონაკვეთში და შესაბამისი ჰიპოთეზების შე-მოწმებას. ეს კავშირი არ უნდა იყოს შემთხვევითი. მასში ვლინდება ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ღირებულებით ორიენ-ტაციებს, მოდერნიზაციასა და დემოკრატიზაციას შორის. ვესტერ-ნიზაციის დონის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე თუ რამ-დენად მოდერნიზირებულია საზოგადოება, რამდენად ძლიერია მასში თვითგამოხატვის ღირებულება.

პოლიტიკური ვესტერნიზაციის შკალაზე 18,5 ქულით მესამე ადგილს, ბალტიის რესპუბლიკების შემდეგ, იკავებენ საქართველო, მოლდოვა და უკრაინა [6,19]. მათვე 6-დან 3,5 ქულით მეორე ად-გილი უჭირავთ ინგლისურის, ფრანგულის, გერმანულისა და ესპა-ნური ენის მცოდნეების რაოდენობის მიხედვითაც, ბალტიისპირე-თის რესპუბლიკების შემდეგ (5 ქულა) [6,34}. დასავლეთის მიმართ საზოგადოებრივი აზრის პოზიტიურად განწყობის მიხედვით კი საქართველო ლატვიასთან და ესტონეთთან ერთად 7 დან 6 ქულით ინაწილებს მეორე ადგილს და ნახევარი ქულით ჩამორჩება პირველ ადგილზე გასულ ლიტვას, რომელსაც აქვს 6,5 ქულა. ამ სამეულს ერთი ქულით ჩამორჩებიან მესამე ადგილზე გასული უკრაინა და მოლდოვა 5 ქულით [6,23].

პარლამენტში წარმოდგენილი პროდასავლური პარტიების რაოდენობით, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა 8 დან 6.5 ქუ-ლით იკავებენ მესამე ადგილს ბალისტიისპირეთის რესპუბლი-კების შემდეგ [6, 21]. სამართლის ვესტერნიზაციის მიხედვით, სა-ქართველო იკავებს მეოთხე ადგილს ბალტიისპირეთის სამი რეს-პუბლიკის შემდეგ 25 დან 14 ქულით და ნახევარი ქულით უსწრებს მეოთხე ადგილზე გასულ მოლდოვას (13.5), ხოლო ერთი ქულით კი უკრაინას (13). [6,21-23]. სასამართლოს დამოუკიდებლობის მი-ხედვით, საქართველოს ეჭირა მეოთხე ადგილი ბალტიისპირეთის

სამი რესპუბლიკის შემდეგ, 7 ქულიდან 3,5 ქულით და ნახევარი ქულით უსწრებდა მეოთხე ადგილზე გასულ მოლდოვასა და უკრაინას (3.)[6,24].

ყველაზე ცუდი მაჩვენებელი საქართველოს ჰქონდა ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან კონსტიტუციის შესაბამისობის სფეროში, სადაც 6-დან 3 ქულით დაიკავა მეხუთე ადგილი. მას წინ უსწრებდნენ არა მხოლოდ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და მოლდოვა - უკრაინა, არამედ აგრეთვე სომხეთიც, რომელსაც 5 ქულით უკრაინათან ერთად ეჭირა მესამე ადგილი. მოლდოვა გავიდა მეოთხე ადგილზე 4.5 ქულით [6,24]. ადამიანის უფლებათა კანონმდებლობის სფეროში, საქართველოს მოლდოვასთან ერთად 6 დან 3,5 ქულით ეჭირა მეხუთე ადგილი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და უკრაინის (4 ქულა) შემდეგ [6,25]. გამამართლებელი განაჩენების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს უჭირავს 6 დან 4 ქულით მეორე ადგილი ესტონეთის შემდეგ (5 ქულა). მესამე ადგილი 4 ქულით უჭირავს ლატვიას, მეოთხე ლიტვას 3 ქულით. მოლდოვას 2.5 ქულით მეხუთე ადგილი [6,26].

ზემოთანხილული ცხრა პუნქტიდან ოთხში: დასავლეთის მიმართ მოსახლეობის პოზიტიური განწყობა; სამართლის ვესტერნიზაცია; სასამართლოს დამოუკიდებლობა; სასამართლოს გამამართლებელი განაჩენები - საქართველო უსწრებს მოლდოვასა და უკრაინას; სამში - დასავლური ენების ცოდნა, პოლიტიკური ვესტერნიზაცია, პროდასავლური პოლიტიკური პარტიები პარლამენტში - თანასწორი ქულები აქვს მოლდოვასა და უკრაინასთან; ერთში - ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან კონსტიტუციის შესაბამისობა - ჩამორჩება უკრაინასა და მოლდოვას. ერთში - ვესტერნიზაციის ინდექსი - საქართველო ჩამორჩება მოლდოვას და, ასევე ერთი მაჩვენებლით - ადამიანის უფლებების დაცვა - უკრაინას. როგორც ვხედავთ საქართველო ბევრი მნიშვნელოვანი მაჩვენებლით აღემატებოდა მოლდოვასა და უკრაინას, მიუხედავად იმისა, რომ მათ ვესტერნიზაციის ზრდის ტემპით ჩამორჩებოდა. აქვე ისიც აღსანიშ-

ნავია, რომ 2022 წელს საქართველოს დემოკრატიის უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდა ვიდრე ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს [9].

დემოკრატიზაცია არა მხოლოდ ელიტებს შორის გამართული ვაჭრობის ან კიდევ კონსტიტუციური ინჟინერინგის შედეგია, არამედ მთლიანად არის დამოკიდებული იმ ღირებულებით ორიენტაციებზე, რითაც გამსჭვალულია საზოგადოება. ეს ორიენტაციები ხალხებს აიძულებენ, რომ ხელისუფლებისაგან მოითხოვონ უკუკავშირები. ამიტომ დემოკრატიის ფუნქციონირება დამოკიდებულია ხალხზე [10].

საქართველოს ვესტერნიზაციის უფრო მაღალი დონე სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან შედარებით (გარდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა), შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნის ქრისტიანული კულტურით და გეოგრაფიული მდებარეობით შავი ზღვის სანაპიროზე, რაც ხელს უწყობდა კონტაქტების განვითარებას დასავლური კულტურის ქვეყნებთან.

ავტორიტარული ციკლები და საქართველოს დემოკრატიული პოტენციალის განვითარება

დემოკრატიზაციის პირველ ციკლი (1990-1991) იწყება სკკპ -ს მიერ კონსტიტუციური სტატუსის დაკარგვით და მთავრდება ზ. გამსახურდიას არჩევით პრეზიდენტის პოსტზე, რის შედეგადაც დამყარდა ავტორიტარიზმი სუსტი სახელმწიფო პოტენციალით. გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივმა დამხობამ დაამუხრუჭა საქართველოს გადასვლა დემოკრატიზაციის სტადიაზე და ტრანზიტი დროებით გააჩერა ლიბერალიზაციის ფაზაში, შევარდნაძის ძლიერი დემოკრატიული ვექტორის მქონე ელექტორალური ავტორტარიზმის ფორმით.

შევარდნაძის ხელისუფლების დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა არასამთავრობო სექტორის აქტიურობა და გავლენა, რომე-

ლიც მოქმედებდა ენერგიულად, გახდა მრავალფეროვანი, გავლენიანი და აგრესიული, რითაც ახდენდა სუსტი ოპოზიციური პარტიების კომპენსაციას, გაძლიერდა მისი გავლენა დღის წესრიგის ფორმირებაზე. ვითარდება ჟურნალისტური გამოძიება, დემოკრატიული თანაცხოვრების პრაქტიკა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა საჯაროობისა და ავტონომიური საზოგადოებრივი აქტიურობის ზრდასა და ინსტიტუციონალიზაციაში. დაიწყო საზოგადოებრივი მენტალიტეტის ცვლილებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი. შევარდნაძის დროს, ლიბერალიზაცია გადადის დემოკრატიზაციის მეორე ციკლში (2001-2003), როცა სამთავრობო პარტია ჯერ აგებს მუნიციპალურ არჩევნებს, ხოლო შემდეგ კი კონტროლს კარგავს საქართველოს დედაქალაქზე და კარგავს კონსტიტუციურ უმრავლესობას პარლამენტში, ხოლო შევარდნაძე კი უარს ამბობს მესამე ვადით პრეზიდენტად არჩევაზე.

„ვარდების რევოლუციით“ იწყება ავტორიტარიზმის მესამე ციკლი (2004-2012), რომელიც ამყარებს ჰეგემონისტური ტიპის ელექტორალურ ავტორიტარიზმს, ძლიერი ავტორიტარული ვექტორით. საკაშვილი მნიშვნელოვნად ზღუდავს პრესის თავისუფლებას, ამყარებს მკაცრ კონტროლს სასამართლოებზე, სრულად იმორჩილებს პარლამენტს, ცდილობს საზოგადოებაში შექმნას შიშზე დაფუძნებული მორალურ-ფსიქოლოგირი კლიმატი, სასტიკად ახშობს მასობრივ პროტესტებს, ატარებს პროფკავშირების საწინააღმდეგო პოლიტიკას, ზღუდავს შრომისა და გაფიცვების თავისუფლებას (ქუთაისი, მეტალურგთა გაფიცვის ორგანიზატორების დაპატიმრება), იღებს შრომის კოდექსს, რომელიც ზღუდავდა დაქირავებულთა უფლებებს დამქირავებელთა სასარგებლოდ. ამის მიუხედავად, მაინც ვითარდება ქვეყნის დემოკრატიული რესურსები: შემოღებული იქნა პარტიების სახელმწიფო დაფინანსება, გაძლიერდა სახელმწიფოს პოტენციალი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის განვითარებისათვის [11, 31], მომზადდა ევროკავში-

რის ასოცირების ხელშეკრულება, მნიშვნელოვნად დასუსტდა კორუფცია, გაძლიერდა ვესტერნიზაცია.

დემოკრატიზაციის მესამე ციკლი

2012 წელს, როცა საქართველოს ისტორიაში პირველად, არჩევნების გზით შეიცვალა ხელისუფლება, ქვეყანა გადავიდა დემოკრატიზაციის მესამე, ყველაზე ხანგრძლივ ციკლში. ამ არჩევნების შედეგად, მმართველი პარტია არა მხოლოდ არ დაიშალა, არამედ ოპოზიციაში განვითარდა და გაძლიერდა კიდევაც. მხოლოდ მთავრობათა ცვლის სტატისტიკა არ შეიძლება მივიჩნიოთ დემოკრატიზაციისა და დემოკრატიაში გადასვლის ნიშნად. სწორედ ამაზე მეტყველებს დახურული დემოკრატიების შემთხვევა, როცა იმის გამო, რომ ამომრჩეველს არ უღირს ხელისუფლების შეცვლა, ერთი პარტია დიდი ხნით მართავს ქვეყანას. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ გერმანიაში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია 1998 წლამდე, 16 წელი მართავდა სახელმწიფოს (12, 232). არჩევნების გაყალბების და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გარდა, კიდევ მრავალი მიზეზი არსებობს, რის გამოც შესაძლებელია, რომ არ შეიცვალოს ხელისუფლება. ამიტომ არჩევნების მშრალი სტატისტიკა არაფერს გვეუბნება რეჟიმის ბუნების შესახებ. საჭიროა მისი განხილვა პოლიტიკური სისტემის სხვა მახასიათებლებთან კავშირში.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა გამოავლინა ერთის მხრივ, ოპოზიციის გაზრდილი ძალა და პოტენციალი, ხოლო მეორე მხრივ კი მათი გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობები, რომელიც განპირობებული იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობისადმი საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულებით, რაც ხელს უშლიდა საერთო ოპოზიციური კანდიდატის წამოყენებას. პირველ ტურში დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა, რომელსაც მხარი დაუჭირა ქართულმა ოცნებამ, მიიღო ხმების

38,64%, ხოლო ორმა ოპოზიციურმა კანდიდატმა გრ. ვაშაძემ (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და დ. ბაქრაძემ (ევროპული საქართველო) შესაბამისად 37,74% და 10,97%[13], რაც იმის მაჩვენებელია, რომ საერთო კანდიდატის შემთხვევაში, ოპოზიცია გაიმარჯვებდა.

მეორე ტურში გადავიდნენ ზურაბიშვილი და ვაშაძე, რომელმაც გამოაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში აპირებდა მ. სააკაშვილის შეწყალებას. ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის გამარჯვებისა და სააკაშვილის გათავისუფლების პერსპექტივამ გამოიწვია ენმ-ს მოწინააღმდეგეთა იმ მრავალრიცხოვანი ნაწილის გამოცხადება საარჩევნო უბნებზე, რომლებსაც პირელ ტურში არ ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა. სწორედ ამან შეასრულა გადამწყვეტი როლი ზურაბიშვილის გამარჯვებაში, რომელმაც მეორე ტურში მიიღო 59,52%, ხოლო ვაშაძემ 40,48% (14). მთავრობის სასარგებლოდ არჩევნების წესების დაღვევას უთუოდ ჰქონდა ადგილი, მაგრამ დიდი ალბათობით, ეს არ იყო გადამწყვეტი ზურაბიშვლის გამარჯვებაში.

საერთაშორისო დამკვირვებლების თანახმად, მეორე ტური იყო კონკურენტული და კანდიდატებს შეეძლოთ თავისუფლად ეწარმოებინათ წინასაარჩევნო კამპანია. ამომრჩევლები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას არჩევნებში, კენჭის ყრის პროცესი კი შეფასდა დადებითად, თუმცა არაოფიციალურმა რეგისტრაციამ საარჩევნო უბნებთან გააძლიერა ეჭვი ამომრჩეველთა შესაძლებელი დაშინების შესახებ [15]. უნდა აღინიშნოს, რომ არაოფიციალურ რეგისტრაციას არ მიუღია ისეთი მასშტაბები, რომ მას გადამწყვეტი როლი შეესრულებინა არჩევნების შედეგების განსაზღვრაში. NDI -ის კვლევით, არჩევნებში მონაწილე რესპოდენტთა 71% თვლიდა, რომ საარჩევნო უბნებზე არ იყვნენ კოორდინატორები, რომლებიც ინფორმაციას იღებდნენ ამომრჩევლებისაგან ან კიდევ მათგან მოითხოვდნენ პირადი ინფორმაციის გაცემას [14,29], საარჩევნო უბნებზე შექმნილი სიტუაცია არ იწვევდა შიშს (90%) [16,27]. ამ არჩევნების ბედი ძირითადად გადაწყვიტა ელექტორატის დამოუკიდე-

ბელმა აქტიურობამ. „ედისონ რისერჩის“ მიერ ოპოზიციური ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შეკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლის მიხედვით, მეორე ტურში, 5 საათისათვის ლიდერობდა ს. ზურაბიშვილი (55%), ხოლო გრ. ვაშაძეს კი ჰქონდა მიცემული ხმების 45%. [17].

საქართველოს დემოკრატიული პოტენციალი მნიშვნელოვნად გააძლიერა საარჩევნო სისტემის რეფორმამ, რაც განხორციელდა აშშ-ის, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის აქტიურობის შედეგად მიღწეული კონსენსუსის საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა პროპორციული კომპონენტი მაჟორიტარულის დასუსტების ხარჯზე და შეამცირა საარჩევნო ბარიერი. ამის შედეგად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, 8 ოპოზიციურმა პარტიამ მიიღი იმდენივე მანდატი პროპორციულ არჩევნებში, რამდენიც ოცნებამ - 60 [18], რომელმაც დაკარგა საკონსტიტუციო უმრავლესობა. ამან გაზარდა პარლამენტის როლი პოლიტიკურ სისტემაში, რაც აშკარა გახადა პრეზიდენტ ზურაბიშვილის იმპიჩმენტის წარუმატებლობამ.

ამ არჩევნებმა, საარჩევნო სისტემის რეფორმის წყალობით, მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახა საზოგადოების განწყობა. თუ მის შედეგებს შევადარებთ IRI-ის მიერ არჩევნებმადე 2 თვით ადრე, აგვისტოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს, ვნახავთ, რომ პარტიების მომხრეთა თანამიმდევრობა სიდიდის მიხედვით ისეთივეა, როგორიც საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმებისა, თუმცა რაოდენობრივი მაჩვენებლები შეცვლილია. აგვისტოში ქართული ოცნებისათვის IRI-ის მონაცემებით ხმის მიცემას აპირებდა 33%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისათვის 15%, ევროპული საქართველო-თავისუფალი დემოკრატებისათვის 4%, ახალი საქართველოსათვის სტრატეგია აღმაშენებელი 4%, პატრიოტთა ალიანსისათვის 3%, ლეიბორისული პარტიისათვის 3%, სამოქალაქო მოძრაობისათვის - 2%, ლელო საქართველოსათვის 2%; გირჩისთვის 1%; დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის 1%;

ჩვენი საქართველო სოლიდარობის ალიანსისათვის 1% ნაკლები; თავისუფალი საქართელოსთვის 1% ნაკლები; სხვებისთვის 1% [19].

თუ ამ მონაცემებს შევადარებთ პარტიების მიერ მიღებულ ხმებს ვნახავთ, რომ არა მხოლოდ ოცნებას, არამედ ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიასაც აქვს გაზრდილი მიღებული ხმების რაოდენობა. თუ აგვისტოში ოცნებისათვის ხმის მიცემას აპირებდა 33%, ოქტომბერში მან მიიღო 48.22%; ენმ-ს აგვისტოში მხარს უჭერდა 15%, არჩევნებში კი მიიღო 27,18%; ევროპული საქართველოს აგვისტოში მხარს ჭერდა 4%, არჩევნებში 3,79%; ლელოს გამოკითხვით მხარს უჭერდა 2%, არჩევნებში მიიღო 3.15%; ბლოკ ვაშაძე სტრატეგია აღმაშენებელს მხარს უჭერდა რესპოდენტთა 4%, არჩევნებში მიიღო 3,15%; პატრიოტთა ალიანსს მხარს უჭერდა რესპოდენტთა 3%, არჩევნებში მიიღო 3.14%; გირჩს მხარს უჭერდა რესპოდენტთა 1%, არჩევნებში მიიღო 2%; ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეებს გამოკითხვით მხარს უჭერდა 2%, არჩევნებში მიიღო 1.33%; შალვა ნათელაშვილს მხარს უჭერდა რესპოდენტთა 3%, ხოლო არჩევნებში მიიღო ხმების 1%. როგორც ვხედავთ, დიდი პარტიების - ენმ-სა და ოცნების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება IRI-ის კვლევის შედეგებს, რაც შეიძლება აიხსნას, როგორც საარჩევნო კამპანიის გავლენით, ასევე საარჩევნო წესების დარღვევით, მაგრამ რომელმა მათგანმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ამის დადგენა არ არის ადვილი. ის, რომ პატარა პარტიების შემთხვევაში ეს ცთომილება მინიმალურია, გვიჩვნებს, რომ IRI-ის გამოკითხვა, ცთომილების გათვალისწინებით, ზუსტად ასახავდა აგვისტოში არსებულ განწყობებს.

სავარაუდოდ, ოცნების გამარჯვებაში ალბათ მთავარი როლი მაინც ოპოზიციისადმი არასაკმარისმა ნდობამ შეასრულა, რომლის ირიბ მაჩვენებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ ტელეკომპანიების რეიტინგები. სავარაუდოდ, მთავრობის წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმან, რომ მისი ტელევიზია „იმედი“ ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობდა. IRI-ის მონაცემებით, 2020 წლის აგვის-

ტოში, მას ენდობოდა გამოკითხულთა 40%; ენმ-ის მიერ კონტროლირებად მთავარ არხს-16%; მთავრობის მიერ კონტროლირებად რუსთავი-2-ს - 11%; ოპოზიციურ ტვ პირველს 5%; „ნეიტრალურ“ „პალიტრა ნიუსს“-1%, აჭარის ტელევიზიას 1%, სამთავრობო ტელევიზიას - საზოგადოებრივ მაუწყებელს 1%, ოპოზიციურ ფორმულას 1%, პრორუსულ ოპოზიციურ არხ ობიექტივს 1%, ერთსულოვნებას 1%-ზე ნაკლები, სამთავრობო პოსტ ტვ-ის 1-ზე ნაკლები, სხვებს 1%, არცერთს-19% [17].

როგორც ვხედავთ, ოპოზიციური ტელევიზიები მთავარი არხი, ტვ პირველი, ფორმულა, კავკასია, რომელიც შედის „სხვებში“, მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ნდობით სამთავრობო ტელევიზიებს იმედსა და რუსთავი-2-ს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიზაციის მესამე ციკლში მნიშვნელოვნად გაიზარდა ოპოზიციის მედია რესურსი, ის ვერ ახდენდა თავისი შესაძლებლობების ეფექტურად რეალიზაციას.

აშშ-ს საელჩოს შეფასებით, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო კონკურენტული და მთლიანობაში დაცული იყო ფუნდამენტური უფლებები [18].

ქვეყნის საგრძნობლად გაზრდილი დემოკრატიული პოტენციალი გამოავლინა აგრეთვე 2021 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა. რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ისევე როგორც საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციამ: პროპორციული კომპონენტის გაზრდამ 970-დან 1404-მდე, მაჟორიტარულის შემცირებამ 1088-დან 664-დე, 40%-იანი ბარიერის პირობებში და პროპორციული სიების ბარიერის შემცირებამ ოთხიდან სამ პროცენტამდე, ხოლო თბილისში კი 2.5%-დე. [19]

შარლ მიშელის შუამავლობით მიღწეული კონსენსუსით, თუ ოცნება ამ არჩევნებში ვერ მიიღებდა ხმების 43%-ს, უნდა ჩატარებულიყო რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ოცნებამ მოგვიანებით უარი განაცხადა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე, ოპოზიცია დარწმუნებული იყო, რომ მას ამ მო-

თხოვნის შესრულება მოუწევდა. ამის მიუხედავად, თავიდანვე ნათელი იყო, რომ ოპოზიცია წააგებდა. ეს 43% უნდა დათვლილიყო ქვეყნის მასშტაბით მიღებული ხმებიდან. პარტიებს 64 მუნიციპალიტეტიდან თითოეულში უნდა წარედგინათ ცალკე სია, რომ არაფერი ვთქვათ მაჟორიტარებსა და ქალაქების მერებზე. თუ ოპოზიციური პარტია ვერ შეძლებდა ასეთი სიების წარდგენას, მთლიანად ოპოზიცია დაკარგავდა ხმებს. ასეთ პირობებში მხოლოდ მმართველმა პარტიამ შეძლო 64-ვე მუნიციპალიტეტში საარჩევნო სიების წარდგენა და სამივე კომპონენტის - საარჩევნო სიების, მაჟორიტარებისა და მერობის კანდიდატების წარდგენა. 64-ვე მუნიციპალიტეტში საარჩევნო სიების წარდგენა მხოლოდ 5-მა პარტიამ მოახერხა, თუმცა ოცნებისაგან განსხვავებით, ისინი სხვა კომპონენტებს ვერ ავსებდნენ [20].

ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების განხილვის შემდეგ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართულმა ოცნებამ ეროვნულ დონეზე პროპორციული არჩევნებში მიცემული ხმების 56.7% მიიღო [21,12]. მან მერების არჩევნებში 20 მუნიციპალიტეტიდან 19 მოიგო, მაგრამ, გარდა იმისა, რომ წალენჯიხაში ენმ-ს კანდიდატმა გაიმარჯვა, 6 საკრებულოში ვერც ოცნება და ვერც ენმ დამოუკიდებლად ვერ ახერხებდნენ უმრავლესობის ფორმირებას [21,14]. ოცნების გამარჯვებაში თავისი როლი შეასრულა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებამ. მაგრამ რთულია იმის დადგენა რამდენად გადაწყვიტა ამან მისი ბედი [22]. ამის მიუხედავად, აშშ-ს საელჩოს შეფასებით, ამომრჩევლებმა გამოიყენეს ხმის მიცემის უფლება, შეძლეს რომ მოესმინათ მათთვის და უზრუნველეყოთ პოლიტიკური ლიდერების პასუხისმგებლობა [23].

დემოკრატიული პოტენციალის ზრდა ავტორიტარული ვექტორის მძაფრ წინააღმდეგობას აწყდება. ამის მიუხედავად, იყო მთელი რიგი შემთხვევები, როცა მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია საზოგადოებისა და ოპოზიციის აქტიურობის წინაშე, მიუთითებენ მის დასუსტებაზე. მმართველმა პარ-

ტიამ ვერ შეძლო ოპოზიციის შევიწროვება მედია სივრცეში. როცა ოპოზიციური რუსთავი 2 მოექცა ოცნების კონტროლის ქვეშ, მაშინვე შეიქმნა მისი ოპოზიციური ეკვივალენტი მთავარი არხის სახით. ოპოზიცია არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი მედია სივრცეში, როგორც დღეს. მმართველმა პარტიამ ვერ შეძლო, დიდი მონდომების მიუხედავად, იმპიჩმენტით გაეთავისუფლებინა ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი ს. ზურაბიშვილი, რაც მიუთითებს პარლამენტის დამოუკიდებლობისა და ოპოზიციის გავლენის გაძლიერებაზე. ოპოზიციის გავლენის ზრდაზე მეტყველებს ასევე მთავარი არხის ხელმძღვანელის ნ. გვარამიასა და სხვა ოპოზიცონერების (ნ. რურუა, ი. ოქრუაშვილი, გ.უგულავა, ნ. მელია) გათავისუფლება პატიმრობიდან. ოპოზიციისა და საზოგადოების აქტიურობამ მთავრობა აიძულა პარლამენტიდან გაეტანა ე.წ. "რუსული კანონი" [24], მარიხუანის წარმოების კანონპროექტები, უარი ეთქვა ჩინელების მიერ ფოთის პორტის რეკონსტრუქციაზე.

შეიძლება სხვა შემთხვევების დასახელებაც, როცა მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია საზოგადოებისა და ოპოზიციის აქტიური წინააღმდეგობის შედეგად. ოპოზიციის გავლენის გაძლიერებაზე მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ რუსთავის 2024 წლის ბიუჯეტის მიღება შეძლეს მხოლოდ ოპოზიციური პარტია საქართველოსთვის დეპუტატების მხარდაჭერის შედეგად, და ისიც მეორე მოსმენის შემდეგ [25].

დასკვნა

საქართველოს დემოკრატიულ ევოლუციას საფუძვლად უდევს საზოგადოების დემოკრატიული პოტენციალის გაძლიერების უწყვეტი პროცესი, რომელიც განაგრძობდა განვითარებას შევარდნაძისა და სააკაშვილის ავტორიტარული ციკლების პირობებშიც კი, რასაც განაპირობებდა როგორც ამ რეჟიმების ელექტორალურ-ავტორიტარული ხასიათი, ასევე დემოკრატიზაციის შიდა და გარე ფაქტორების ურთიერთქმედება.

ბიბლიოგრაფია

1. Johannes Gershewski. *Erosion or decay? Conceptualizing causes and mechanisms of democratic regression*. Democratization Volume p.28. 2021-issue 1:Democratic Regression in Asia. https://doi.org/10.1080/13510347.2020.1826935 [5.08.23]

2. Vanessa A Boese,Amanda B. Edgell, Sebastian Hellmeier, Seraphine F. Maerz@Staffiah I. Linberg.*How democracies prevail: democratic resilience as a two stage process* . Democratization.Volume 28, 2021- issue 5: Resilience of Democracies : Responses to illiberal and Authoritarian challenges. https://doi.org/10.1080/13510347.2021.1891413 [12.08.23].

3. Anna Luhrmann @Staffan I, Lindberg. *A third wave of autocratization is here: what is new about.* East Democratization.Volume 26, 2019-issue- 7 https://doi.org/10.1080/13510347.2019.1582029 [15.09. 23].

4. licia Cianetti, James Dawson@ Sea'n Hanley . *Rethinking "democratic backsliding in central and Eastern Europe-looking beyond Hungary and Poland*. East European Politics.

Volume 34, 2018-issue 3: Rethinking 'Democratic backsliding ' in Central and Eastern Europe. https://doi.org/10.1080/21599165.2018.1491401 [23.05.22].

5. *რიკარდ იოზვიაკი: ასოცირების ტექნიკური კრიტერიუმებით საქართველო უკრაინასა და მოლდოვას უსწრებს.* Civil Georgia.09.01.23. https://civil.ge/ka/archives/521008 [10.10.23].

6. Strategeast Westernization Index2022. https://www.strategeast.org/all_reports/Westernization_Index_2022.pdf [12.08. 23].

7. *Georgia. Freedom House 2020.* https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2020 {25. 07.23].

8. *Georgia Freedom in the world.* 2023. https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023). [25..08.23].

9. Givi Silagadze. *How does Georgia's democracy compare with countries granted EU candidacy?* https://oc-media.org/features/datablog-how-does-georgias-democracy-compare-with-countries-granted-eu-candidacy/[31.05.23]/

10. Инглхарт, Р. Велцель,К. (2011). *Модернизация, культурные изменения и демократизация.* Москва: Издательство Новое издательство

11. Тили, Ч. (2007). *Демократия.* Москва: Издательство АНО «Институт общественного проектирования

12. Hancock, D, et al.(2007). *Politics in Europe.* Washington, D.C.: publisher CQ press

13. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (2018 წლის 14 ნოემბერი). *საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.* http://cesko.ge/res/docs/shemajamebelioqmi.pdf [28.04. 20].

14. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. *საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.* http://cesko.ge/res/docs/20181214144041%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%98.pdf), [24.04.20].

15. OSCE Georgia, (28 February 2019). *Presidential election 28 october and 28 november ODIHR Election Observation Mission Final Report.*Warsaw. [28.04.20]. https://www.osce.org/odihr/elections/georgia/412724?download=true

16. Thornton, L , NDI Georgia, Turmanidze, K, CRRC Georgia, *Public attitudes in Georgia. Results of December 2018 survey Carried out for NDI by CRRC Georgia. Results of December 2018 public Opinion polls in Georgia. Political Poll Results.*

https://www.ndi.org/publications/results-december-2018-public-opinion-polls-georgia [25.04. 20].

17. კუპრეიშვილი, თ. (2018. აპრილი 28*) ვაშაძე -2 8%, ზურაბიშვილი -55%-„“რუსთავი 2-ის “ ეგზიტპოლის შედეგები.* netgazeti.ge. ჩამოტვირთულია: https://netgazeti.ge/news/324521/ [23.04.20].

18*. ცესკომ 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შეაჯამა.* Civil.ge. 04.12.20. https://civil.ge/ka/archives/385518 [31.05. 21].

19. IRI. *Public opinion survey residents of Georgia.* chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.iri.org/wp-content/uploads/2020/09/iri_poll_presentation-georgia_august_2020.pdf [12.11.21].

18. *USA Embassy Statement On Georgia's Parliamentary Elections. November 1, 2020.* https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-georgias-parliamentary-elections [2.02.21].

19. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია *საქართველოში ადგილობრივი არჩევნები, 2 ოქტომბერი 2021 წელი შუალედური ანგარიში 26 აგვისტო 15 სექტემბერი.* 17 სექტემბერი 2021 chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.osce.org/files/f/documents/a/a/498306.pdf [6.05. 22].

20. *2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეთა კონფიგურაცია.* თვითმართველობის დროა!18.09 .2021. https://droa.ge/?p=112130 [8.09.23].

21. არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისია. *საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები. არჩევნების შეფასების ანგარიში1 ოქტომბერი 5 ნოემბერი2021* https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%202021%20Limited%20Long%20Term%20Election%20Assessment%20Mission%20Report%20GEO_0.pdf [12.08.23].

22. *2021 წლის თვითმართველობის შედეგები. მივიღებთ თუ არა ახალ რეალობას?* თვითმართველობის დროა! 04.10.21. https://droa.ge/?p=114990 [9. 08. 23].

23. U.S. Embassy in Georgia.4 October 2021 https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-2021-georgian-municipal-elections/ [4,08.21].

24. *როგორ ვერ მიიღეს რუსული კანონი. პროტესტის ქრონიკა.* https://publika.ge/photo/rogor-ver-miighes-rusuli-kanoni-protestis-qronika/][12.08.23].

25. *რუსთავის ბიუჯეტი დამტკიცებულია-„ოცნების“ მაშველი რგოლი გახარიას გუნდი აღმოჩნდა.* TV პირველი. დღის ამბები https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/56485-rustavis-biujeti-damtkitsebulia-otsnebis-mashveli-rgoli-gakharias-gundi-agm [23.12.23].

Valeri Dolidze, Avtandil Tukvadze

The Democratic Evolution of Georgia and Its Cycles

Abstract

The article examines the process of formation of the political regime in Georgia, which is represented in the form of cycles of democratization and authoritarianism. According to the authors, its direction is determined by the process of strengthening democratic potential, which creates and directs the democratic evolution of the country, which occurs gradually as democratic resources strengthen. The electoral-authoritarian regimes of Shevardnadze and Saakashvili strengthened the democratic potential of the country and were evolutionary cycles of political development that contributed to the democratic evolution of the country. Georgia is in the third cycle of democratization.

Keywords: authoritarianism, democracy, democratization, regime, political system.